

სტრასბურგი, 2014 წლის 14 ოქტომბერი

დასკვნა №775 / 2014

ევროპული კომისია კანონის მეშვეობით დემოკრატიისათვის
(ვენეციის კომისია)

ვენეციის კომისიისა
და
ევროპის საბჭოს
ადამიანის უფლებათა და კანონის უზენაესობის
გენერალური დირექტორატის (DGI)
ადამიანის უფლებათა დირექტორატის (DHR)

ერთობლივი დასკვნა

„საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური
პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“
საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე
კანონის პროექტის შესახებ

მიღებულია ვენეციის კომისიის მიერ
მე-100 პლენარულ სესიაზე
(რომი, 2014 წლის 10-11 ოქტომბერი)

შემდეგი პირების კომენტარების საფუძველზე

ქალბატონი სლავიცა ბანიჩი (ექსპერტი, ყოფილი მონაცვლე წევრი, ხორვატია)
ბატონი იოჰან ჰირშფელდტი (მონაცვლე წევრი, შვედეთი)
ბატონი გრეგორ ბორკოვსკი (DHR-ის ექსპერტი, პოლონეთი)

სარჩევი

I.შესავალი	3
II. წინასიტყვაობა.....	4
III.სტანდარტები	5
IV. ზოგადი შენიშვნები	6
V. მუხლობრივი ანალიზი.....	9
A. დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების უფლებამოსილება.....	9
B. დისციპლინური სამართალწარმოების კონფიდენციალურობა	11
C. დისციპლინური სამართალწარმოების საფუძვლები	12
D. მტკიცების სტანდარტი დისციპლინურ სამართალწარმოებაში	14
E. კერძო სარეკომენდაციო ბარათი	15
F. დისციპლინური სამართალწარმოებისას მოსარჩელეს სტატუსი	19
G. მოსამართლის სტატუსი დისციპლინურ სამართალწარმოებაში	20
H. დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტა	22
1. სისხლისსამართლებრივი სამართალწარმოების დაწყება	22
2. ბრალდების მოხსნა	25
3. ვადის გასვლა	25
4. სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილება.....	26
I.გასაჩივრება	26
J. სხვა საკითხები.....	27
VI. დასკვნა.....	28

I. შესავალი

1. 2014 წლის 14 მაისს საქართველოს იუსტიციის მინისტრმა მიმართა ევროპის საბჭოს თხოვნით, დაეფიქსირებინა მოსაზრება, სხვა საკითხებთან ერთად, „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე კანონის პროექტთან დაკავშირებით.
2. ვენეციის კომისიის სახელით მომხსენებლები იყვნენ ქალბატონი სლავიცა ბანიჩი (ექსპერტი, ყოფილი წევრი, ხორვატია), ბატონი იოჰან ჰირშველდტი (წევრი, შვედეთი).
3. გრეგორ ბორკოვსკიმ (ექსპერტი, პოლონეთი) ანალიზი გაუკეთა ცვლილებების პროექტს ადამიანის უფლებათა დირექტორატის დავალებით (შემდგომ – დირექტორატი ან DHR).
4. 2014 წლის 30 ივნისსა და 1 ივლისს ვენეციის კომისიის დელეგაცია DHR-ის ექსპერტების შემადგენლობით ეწვია საქართველოს და გამართა შეხვედრები საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილესთან, საქართველოს პარლამენტის წევრებთან, იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარესთან, მოსამართლეთა ასოციაციის წევრებთან და რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციასთან. ვენეციის კომისია და DHR-ის ექსპერტები მაღლიერებას გამოხატავენ ვიზიტის ფარგლებში საქართველოს ხელისუფლებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების მიერ გაწეული შესანიშნავი თანამშრომლობისათვის.
5. ერთობლივი დასკვნა დაფუძნებულია კანონის პროექტის ინგლისურ თარგმანზე, რომელიც შეიძლება ზუსტად არ ასახავდეს ორიგინალი ვერსიის ყველა დეტალს. ზოგიერთი საკითხის განხილვის მიზეზი შეიძლება იყოს განპირობებული თარგმანით და არა განსახილველი დებულებების შინაარსით.
6. ვენეციის კომისია და დირექტორატი მაღლიერებას გამოხატავენ საქართველოს ხელისუფლების მიმართ, რომელმაც უზრუნველყო „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ კანონის მოქმედი რედაქციის სრული ვერსიის თარგმანი (შემდგომ – დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ კანონი) (CDL-REF (2014) 032). ისინი აღნიშნავენ, რომ არსებობს გარკვეული განსხვავებანი იმ დებულებებთან მიმართებაში, რომლებზეც ვრცელდება ცვლილებები. ამდენად, შედგა კომუნიკაცია ამ დებულებების გადახედვასა და კანონის სრულ ვერსიაში მათ თარგმნასთან დაკავშირებით. აქედან გამომდინარე, დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ კანონი გამოიყენება მხოლოდ განსახილველი ცვლილებების სამართლებრივი კონტექსტის გასაგებად.

7. ვენეციის კომისიისა და დირექტორატის ერთობლივი დასკვნა მომზადდა ზემოაღნიშნული ექსპერტების კომენტარების საფუძველზე და მიღებულ იქნა ვენეციის კომისიის მიერ მე-100 პლენარულ სხდომაზე, რომში (2014 წლის 10-11 ოქტომბერი).

II. წინასიტყვაობა

8. 2014 წლის 27 ივნისს საქართველოს ხელისუფლებამ ვენეციის კომისიას გაუგზავნა „განმარტებითი ბარათი“ „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე კანონის პროექტის შესახებ და გააკეთა განმარტებები აღნიშნული ცვლილებების შეტანის საჭიროებებზე.

9. განმარტებითი ბარათის მიხედვით, კანონის პროექტი მიზნად ისახავს დისციპლინური სამართალწარმოების გაუმჯობესებას, მოსამართლეთა დამოუკიდებლობის პრინციპის ზედმიწევნით დაცვას, მოქმედ კანონმდებლობაში არსებული ხარვეზების აღმოფხვრას და მოქმედი დისციპლინური პროცედურების დახვეწას.

10. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი ეხება მოსამართლეთა წინააღმდეგ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების უფლებამოსილებას. პროექტის მე-7 მუხლი გამორიცხავს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის და სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის მიერ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყებას და აღნიშნულ უფლებამოსილებას ანიჭებს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს. როგორც ჩანს, უზენაესი სასამართლოსა და სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარეები შეზღუდულნი არიან მოსამართლეთა გადაცდომების შესახებ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ინფორმირების თვალსაზრისით, ამ საბჭოსათვის განმარტებითი ბარათის წარდგენის შემდეგ, როგორც ნებისმიერი სხვა მოსამართლე დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ კანონის 6(1) მუხლის შესაბამისად.

11. განმარტებითი ბარათის მიხედვით, „დისციპლინური სამართალწარმოების საფეხურების ოპტიმიზაციისათვის“ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანს (შემდგომ – მდივანი) უნდა შეეზღუდოს მოსამართლეთა წინააღმდეგ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების უფლებამოსილება. მოქმედი კანონის მე-9 მუხლის თანახმად, საჩივრის წინასწარი შემოწმების შემდეგ, მდივანმა შეიძლება მიიღოს გადაწყვეტილება მოსამართლის წინააღმდეგ მიმართული დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის ან მისთვის ახსნა-განმარტების ჩამორთმევის შესახებ. მდივნის მიერ მიღებული გადაწყვეტილება დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ შესაძლოა გადაიხედოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ¹. თუმცა

¹ არსებულ სისტემაში, განმარტებითი ბარათის მიხედვით, მდივნის გადაწყვეტილება მოსამართლისაგან ახსნა-განმარტების მიღების შესახებ უნდა იქნეს წარდგენილი იუსტიციის უმაღლესი საბჭოსთვის

პროექტის მე-9 მუხლით, მდივნის უფლებამოსილება, წარუდგინოს წინასწარი შემოწმების შედეგები იუსტიციის უმაღლეს საბჭოს, რომელიც გადაწყვეტს, შეწყდეს თუ დაიწყოს მოსამართლის წინააღმდეგ დისციპლინური სამართალწარმოება, იზღუდება.

12. განმარტებითი ბარათი ხაზს უსვამს, რომ აღნიშნული კანონპროექტის ერთ-ერთი მთავარი მიზანია მოსამართლეთა წინააღმდეგ აღძრული დისციპლინური სამართალწარმოების უმაღლესი ხარისხის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა. აღნიშნულის მიხედვით, პროექტის მე-5 მუხლი ინარჩუნებს კონფიდენციალურობის პრინციპს დისციპლინური სამართალწარმოებისას და მოსამართლეს, რომლის მიმართაც მიმდინარეობს დისციპლინური სამართალწარმოება, აძლევს უფლებას თავად გადაწყვიტოს პროცესის გასაჯაროების საკითხი. ამგვარად, დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ მოქმედი კანონის მე-17 მუხლის მე-5 პუნქტი აძლევს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს დისკრეციულ უფლებას, მოიწვიოს ან არ მოიწვიოს მოსამართლე სხდომაზე, ხოლო კანონპროექტის მე-17 მუხლის მე-5 პუნქტი, ავალდებულებს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს, მოიწვიოს სხდომაზე სამართალწარმოების მონაწილე მოსამართლე. ასევე, დისციპლინური სამართალწარმოების გამჭვირვალობის უზრუნველყოფის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია კანონპროექტის 58-ე მუხლის პირველი პუნქტი, რომლის თანახმადაც გადაწყვეტილება მოსამართლის დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ უნდა ეცნობოს მომჩივანს (საჩივრის ავტორს), და არა, როგორც ეს მოქმედ რედაქციაშია – მხოლოდ მოსამართლეს, იუსტიციის უმაღლეს საბჭოსა და მოსამართლეთა კონფერენციას.

III. სტანდარტები

13. ვენეციის კომისამ და დირექტორატმა ცვლილებების კანონპროექტი შეისწავლეს მართლმსაჯულების დამოუკიდებლობის შესახებ საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, რომლებიც ასახულია შემდეგ დოკუმენტებში:

- ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის (შემდგომ – ECHR) მე-6 მუხლი და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (შემდგომ – ECtHR) პრეცედენტული სამართალი;
- სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის შესახებ ანგარიშის პირველი ნაწილი: მოსამართლეთა დამოუკიდებლობა, მიღებული ვენეციის კომისიის 82-ე პლენარულ სხდომაზე (ვენეცია, 2010 წლის 12-13 მარტი);

დასამტკიცებლად. აღნიშნული ინტერპრეტაცია კი წინააღმდეგობაში მოდის მიმდინარე კანონის მე-9 მუხლითან, რომელიც ავალდებს მდივანს, იუსტიციის უმაღლეს საბჭოს წარუდგინოს მხოლოდ ის გადაწყვეტილებები, რომლებიც ეხება მხოლოდ დისციპლინური პასუხისმგებლობის შეწყვეტას.

- CM/Rec(2010)12 ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია მოსამართლეების შესახებ წვერი სახელმწიფოებისათვის: დამოუკიდებლობა, ეფექტიანობა და პასუხისმგებლობა (რომელიც ანაცვლებს Rec(94)12 მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციას წვერი სახელმწიფოების დამოუკიდებლობის, ეფექტიანობისა და მოსამართლეთა როლის შესახებ);
- ევროპული ქარტია მოსამართლეთა სტატუტის შესახებ (მიღებული 1998 წლის 8-10 ივლისს ევროპის საბჭოს მიერ ორგანიზებულ მოსამართლეთა სტატუტის მრავალმხრივ შეხვედრაზე);
- ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს (CCJE) დასკვნა №1 (2001) მართლმსაჯულების დამოუკიდებლობისა და მოსამართლეთა შეუცვლელობის შესახებ არსებული სტანდარტების მიმართ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის ყურადღების გასამახვილებლად;
- CCJE-ის დასკვნა №3 (2002) მოსამართლეთა პროფესიული ქცევის, კერძოდ, ეთიკის, შეუსაბამო ქცევისა და მიუკერძოებლობის მარეგულირებელი წესებისა და პრინციპების მიმართ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის ყურადღების გასამახვილებლად;
- CCJE-ის დასკვნა №10 (2007) საზოგადოების განკარგულებაში არსებული მართლმსაჯულების საბჭოს მიმართ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის ყურადღების გასამახვილებლად;
- აღმოსავლეთ ევროპაში, სამხრეთ კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში მართლმსაჯულების დამოუკიდებლობის შესახებ OSCE/ODIHR-ის კიევის რეკომენდაციები (2010 წლის 23-25 ივნისი) (შემდგომ – OSCE/ODIHR-ის კიევის რეკომენდაციები);
- სამოსამართლო ქცევის შესახებ ბანგალორის 2011 წლის პრინციპები, მშვიდობის სასახლეში მთავარი მოსამართლეების „მრგვალი მაგიდის“ შეხვედრაზე შესწორებული სახით, ჰააგა, 2002 წლის 25-26 ნოემბერი;
- მართლმსაჯულების დამოუკიდებლობის შესახებ გაერთიანებული ერების ძირითადი პრინციპები, გენერალური ასამბლეის 1985 წლის 29 ნოემბრის 40/32 და 1985 წლის 13 დეკემბრის 40/146 რეზოლუციებით დამტკიცებული.

IV. ზოგადი შენიშვნები

14. ცვლილებების პროექტი ითვალისწინებს საქართველოში მოსამართლეთა მოქმედი დისციპლინური მექანიზმის საკმაოდ სიღრმისეულ ცვლილებას. შესწორებები ცვლის დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების მიდგომას, ადგენს დისციპლინური სამართალწარმოების ეტაპებს და აუქმებს ზოგიერთი ორგანოს მნიშვნელოვან

კომპეტენციებს დისციპლინურ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებსაც არ შეჰქონდა საკმარისი წვლილი მართლმსაჯულების დამოუკიდებლობის განვითარებაში. ზოგადად, როგორც ჩანს, ცვლილებები შეესაბამება CCJE-ის №3 დასკვნის 68-ე პარაგრაფს, რომელიც ადგენს, რომ დისციპლინური წარმოების დაწყების პროცედურები საჭიროებს ფართო ფორმატიზაციას. ცვლილებების მიხედვით, მართლაც, იუსტიციის უმაღლეს საბჭოს, როგორც მოსამართლეების მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების უფლების მქონე ერთადერთ ორგანოს, ენიჭება „საჩივრების მიღების პასუხისმგებლობა, შესაბამისი მოსამართლის შეხედულებების მოპოვებისა და იმის გადაწყვეტის უფლებამოსილება, არსებობს თუ არა საკმარისი საფუძველი მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების დასაწყებად, რა შემთხვევაშიც იგი საქმეს გადასცემს დისციპლინური კომპეტენციის მქონე ორგანოს“² (სადისციპლინო კოლეგია, დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ კანონის შესაბამისად³).

15. ამდენად, პოზიტიურ ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ მხოლოდ იუსტიციის უმაღლეს საბჭოს აქვს უფლებამოსილება, მოსამართლის მიმართ აღძრას დისციპლინური სამართალწარმოება, რაც ითვალისწინებს დისციპლინური უფლებამოსილების მქონე ორგანოების, რომელთაც აქვთ ამგვარი სამართალწარმოების დაწყების კომპეტენცია, პლურალიზმის სისტემასთან შესაბამისობის უფრო მეტ გარანტიას. თბილისში გამართული შეხვედრებიდან, აგრეთვე, გამოიკვეთა, რომ კანონპროექტში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს, როგორც მოსამართლეების მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების უფლების მქონე ერთადერთ ორგანოდ გათვალისწინება, დადებითად შეაფასა მრავალმა მომხსენებელმა, რომლებმაც დელეგაციას აცნობეს, რომ იუსტიციის უმაღლეს საბჭოში დისციპლინური პროცედურები გაცილებით გამჭვირვალეა, ვიდრე უზენაეს სასამართლოში. ინიცირებული სისტემა, ასევე, ითვალისწინებს საგამომიებო უფლებამოსილების მქონე ორგანოსა (იუსტიციის უმაღლესი საბჭო) და დისციპლინური სახდელის დაკისრების შესახებ გადაწყვეტილების მიღების კომპეტენციის მქონე ორგანოს, ანუ სადისციპლინო კოლეგიის, მოვალეობების მკაფიო გამიჯვნას. აღნიშნული კი შეესაბამება საერთაშორისო რეკომენდაციებს, რომლებიც ითვალისწინებს ისეთი დამოუკიდებელი ორგანოს შექმნას დისციპლინური სამართალწარმოების დასაწყებად, რომელიც გამიჯნული იქნება იმ დამოუკიდებელი ორგანოსა თუ სასამართლოსგან, რომელსაც აქვს მოსამართლის დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება⁴.

²CCJE-ის № 3 დასკვნის 68-ე პარაგრაფი.

³იხილეთ, დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ კანონის მესამე თავი.

⁴იხილეთ, CoE-ის CM/Rec(2010)12 რეკომენდაციის 69-ე პარაგრაფი. იხილეთ, ასევე, CCJE-ის №3 დასკვნის (2002) 68-ე, 69-ე და 77-ე პარაგრაფები და OSCE/ODIHR-ის კიევის რეკომენდაციების მე-5 პარაგრაფი:

16. შესწორებები ითვალისწინებს მნიშვნელოვან ცვლილებას იუსტიციის უმაღლესი საბჭოს, რომელიც, როგორც ჩანს, დისციპლინურ სამართალწარმოებაში გახდება მთავარი მოქმედი ორგანო, სტატუსში, სხვა დამატებით ფართო და მრავალფეროვან კომპეტენციებთან ერთად. კანონის პროექტის თანახმად, იუსტიციის უმაღლეს საბჭოს ენიჭება სამართალწარმოების დაწყების (მე-7 მუხლის პროექტი), საგამომიებო (მე-9 და მე-12 მუხლების პროექტი), ბრალმდებლის (39-ე მუხლის მე-4 პუნქტის პროექტი) უფლებამოსილება და, ასევე, უფლება უარი თქვას მოსამართლის წინააღმდეგ წაყენებულ ბრალდებაზე დისციპლინური სამართალწარმოების ადრეულ ეტაპზე (42-ე მუხლის პროექტი). იუსტიციის უმაღლეს საბჭოს, გარკვეულწილად, ექნება სასამართლო კომპეტენციაც იმდენად, რამდენადაც, მე-19 მუხლის პროექტის თანახმად, იმ შემთხვევაში, თუ წინასწარი გამოძიებისას „დადგინდება“, რომ მოსამართლემ ჩაიდინა ისეთი დისციპლინური გადაცდომა, რომლის გამოც დისციპლინური ბრალდებით სადისციპლინო კოლეგიისათვის მოსამართლის საქმის გადაცემას მიზანშეუწონლად მიიჩნევს, იუსტიციის უმაღლეს საბჭოს შეუძლია გაუგზავნოს შესაბამის მოსამართლეს კერძო სარეკომენდაციო ბარათი. საბოლოოდ, იუსტიციის უმაღლეს საბჭოს უფლება აქვს, ადასრულოს დისციპლინური სამართალწარმოების ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილებები (მე-80 მუხლის პროექტი, მოსამართლის გათავისუფლება). ვენეციის კომისია და დირექტორატი მიიჩნევენ, რომ ერთ ხელში მოქცეული ამდენი სხვადასხვა უფლებამოსილების ნარევი, განსაკუთრებით, სამართალწარმოების დაწყებისა და გასამართლების (კერძო სარეკომენდაციო ბარათის გაგზავნის შესახებ გადაწყვეტილება) უფლებამოსილება, ქმნის რისკს ზემოხსენებული სტანდარტების გამოყენების თვალსაზრისით, რომლებიც შეეხება საგამომიებო და სასამართლო ორგანოებს შორის მოვალეობების მკაფიო გამიჯვნას (სქოლიო 4) და რაც, შედეგად, საფრთხეს უქმნის სამართლიანობის პრინციპს⁵.

17. უნდა აღინიშნოს გამჭვირვალობის პრინციპის მნიშვნელობა მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების განხორციელებისას. CCJE-ს №10 დასკვნის 91-ე პარაგრაფის შესაბამისად, „გამჭვირვალობა იმ ნდობის მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომელიც მოქალაქეებს გააჩნია მართლმსაჯულების სისტემის ფუნქციონირების მიმართ და არის გარანტი პოლიტიკური გავლენის, ასევე, მართლმსაჯულებაში საკუთარი

„კორპორატივიზმის შესახებ ბრალდებების თავიდან ასაცილებლად და სამართლიანი დისციპლინური პროცედურის გარანტირებისათვის, მართლმსაჯულების საბჭოებს უნდა ჰქონდეთ: ა) საჩივრების მიღებისა და დისციპლინური გამოძიების განხორციელების და, ამავე დროს, ბ) საქმის განხილვისა და დისციპლინურ ღონისძიებებზე გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება.“

⁵მართლმსაჯულების დამოუკიდებლობის შესახებ გაერთიანებული ერების ძირითადი პრინციპების მე-17 პარაგრაფი ადგენს, რომ მოსამართლეს უნდა ჰქონდეს უფლება სამართლიან განხილვაზე. იხილეთ, ასევე, *mutatis mutandis*, ECtHR „კუპრიანუ კვიპროსის წინააღმდეგ“, № 73797/01, დიდი პალატა, 2005 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილება, § 127.

ინტერესების, საკუთარი თავის დაცვისა და კლანურობის წინააღმდეგ“⁶. ამ თვალსაზრისით, მისასაღმებელია, რომ დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ კანონის 81-ე მუხლი ითვალისწინებს სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილებების გამოქვეყნებას, მათი ძალაში შესვლისთანავე, კოლეგიის ოფიციალურ ვებგვერდზე. რაც შეეხება დისციპლინურ სამართალწარმოებას, მე-5 მუხლის პროექტი სწორი მიმართულებით გადადგმული ნაბიჯია იმდენად, რამდენადაც იგი ითვალისწინებს გამონაკლისს კონფიდენციალურობის დაცვის პრინციპიდან, ანუ მოსამართლის მოთხოვნას იუსტიციის უმაღლეს საბჭოში მის მიმართ მიმდინარე დისციპლინური სამართალწარმოების გასაჯაროების თაობაზე.

18. კანონის პროექტში უნდა იყოს გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომების ზუსტი ჩამონათვალი, ხოლო „სამოსამართლო ეთიკაზე“ მითითება – ამოღებული (იხილე, წარმოდგენილი დასკვნის V.C ნაწილი).

19. დაბოლოს, სამართლებრივი განსაზღვრულობის პრინციპის მიზნებისთვის რეკომენდებულია სხვადასხვა პროცედურული ეტაპის კონტექსტში გამოყენებული ტერმინოლოგიის გადახედვა და, სადაც საჭიროა, მათი ჰარმონიზაცია. მაგალითად, უნდა გადაიხედოს ისეთი ტერმინი, როგორცაა „დისციპლინური დევნა“, რომელიც გამოიყენება იუსტიციის უმაღლეს საბჭოში დისციპლინური პროცედურების დაწყების ეტაპის აღსანიშნავად (მაგალითად, 13(1) „ბ“ მუხლის პროექტი) ან „დისციპლინური დევნისა“ და „დისციპლინური სამართალწარმოების“ შენაცვლებადი გამოყენება ერთი და იმავე პროცედურული სტადიის აღსაწერად. თუმცა, შესაძლოა ეს კვლავ თარგმნასთან დაკავშირებული საკითხი იყოს.

V. მუხლობრივი ანალიზი

A. დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების უფლებამოსილება (მე-7 მუხლის პროექტი)

20. დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ კანონის მე-7 მუხლით გათვალისწინებულ მოქმედ სისტემაში მოსამართლეების წინააღმდეგ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების უფლებამოსილება ენიჭება სამ სხვადასხვა ორგანოს:

ა) საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს უზენაესი სასამართლოს, სააპელაციო სასამართლოსა და რაიონული სასამართლოების მოსამართლეების წინააღმდეგ (7(1) „ა“ მუხლი);

⁶CCJE-ს № 10 დასკვნის 91-ე პარაგრაფი.

ბ) სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარეს შესაბამისი სააპელაციო სასამართლოს ისევე, როგორც სააპელაციო სასამართლოს იურისდიქციაში მყოფი რაიონული სასამართლოების მოსამართლეების წინააღმდეგ (7(1) „ბ“ მუხლი); და

გ) იუსტიციის უმაღლეს საბჭოს საერთო სასამართლოების ყველა მოსამართლის წინააღმდეგ (7(1) „გ“ მუხლი).

21. მე-7 მუხლის პროექტი გამორიცხავს სასამართლოების თავმჯდომარეების მიერ მოსამართლეების წინააღმდეგ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების უფლებამოსილებას და განსაზღვრავს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს, როგორც აღნიშნული ქმედებისათვის ერთადერთ კომპეტენტურ ორგანოს. თუმცა, როგორც ჩანს, სასამართლოს თავმჯდომარეები ინარჩუნებენ საკუთარ უფლებას, დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ მოქმედი კანონის 6(1) „ბ“ მუხლის შესაბამისად, როგორც ნებისმიერმა მოსამართლემ, აცნობონ იუსტიციის უმაღლეს საბჭოს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის შესახებ უმაღლესი საბჭოსათვის „განმარტებითი ბარათის“ წარდგენის გზით.

22. მართლმსაჯულების დამოუკიდებლობის შესახებ საკუთარ ანგარიშში (I ნაწილი) ვენეციის კომისიამ მიიჩნია, რომ *„მართლმსაჯულების დამოუკიდებლობა არ გულისხმობს მხოლოდ მთლიანად სასამართლოს დამოუკიდებლობას, vis-à-vis სახელმწიფო ხელისუფლების სხვა შტოები, არამედ მას გააჩნია „შიდა“ ასპექტიც. ყოველი მოსამართლე, მიუხედავად სასამართლოში მისი თანამდებობისა, ასრულებს მოსამართლის ერთსა და იმავე უფლებამოსილებას. შესაბამისად, სასამართლო განხილვისას იგი უნდა იყოს დამოუკიდებელი, vis-à-vis სხვა მოსამართლეები, მათ შორის, სასამართლო თავმჯდომარისა და სხვა (მაგალითად, სააპელაციო ან უმაღლესი) სასამართლოებისაგან.“* კომისიამ, ასევე, დაამატა, რომ *„მართლმსაჯულების როგორც შიდა, ისე გარე დამოუკიდებლობის ყველაზე კარგი დაცვა შეიძლება იქნეს უზრუნველყოფილი მართლმსაჯულების უმაღლესი საბჭოს მიერ, ვინაიდან იგი აღიარებულია მართლმსაჯულების დამოუკიდებლობის საკითხზე არსებული მთავარი საერთაშორისო დოკუმენტებით“⁷.*

23. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლოს თავმჯდომარეების ამგვარმა დისციპლინურმა უფლებამოსილებამ, როგორც ეს მოქმედი კანონითაა გათვალისწინებული, შესაძლოა გამოიწვიოს მოსამართლის დამოუკიდებლობის შესუსტება სასამართლოს თავმჯდომარესთან კონფლიქტის არსებობის შემთხვევაში. შესაბამისად, მისასაღმებელია, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭო კანონის პროექტში მითითებულია, როგორც ერთადერთი ორგანო, რომელსაც აქვს მოსამართლეების წინააღმდეგ დისციპლინური სამართალწარმოების ფორმალური დაწყების უფლებამოსილება. სასამართლოს თავმჯდომარეების კომპეტენციის შემოფარგვლა

⁷მართლმსაჯულების დამოუკიდებლობის შესახებ ანგარიში, ნაწილი I, § 71, in fine.

მხოლოდ მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის შესახებ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს „ინფორმირებით“, ასევე, პოზიტიური ნაბიჯია, რომელიც აძლიერებს „შიდა“ დამოუკიდებლობას.

24. მე-9 მუხლის პროექტის თანახმად, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის მიერ წინასწარი გამოძიების შედეგების წარდგენის შემდეგ, იუსტიციის უმაღლესი საბჭო სრული შემადგენლობის 2/3-ის უმრავლესობით იღებს გადაწყვეტილებას, მოსთხოვოს თუ არა შესაბამის მოსამართლეს „განმარტებები“. თუმცა, დისციპლინური სამართალწარმოების დასაწყებად ამგვარი კვალიფიციური უმრავლესობის მოთხოვნა წარმოშობს იმის რისკს, რომ ძალიან ბევრი საჩივრის განხილვა აღარ გაგრძელდება სამართალწარმოების ადრეულ ეტაპზე, იუსტიციის უმაღლეს საბჭოში არსებული კორპორატიული მიდგომების გამო. ამის გათვალისწინებით, გადაწყვეტილების მისაღებად საკმარისი უნდა იყოს ხმათა უბრალო უმრავლესობა. მეტიც, მე-15 მუხლის პროექტი, ასევე, მოითხოვს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შემადგენლობის 2/3-ის უმრავლესობას დისციპლინური სამართალწარმოებისათვის „მოსამართლის საქმის გადასაცემად“, ხოლო 60(3) მუხლის პროექტი – იმავე კვალიფიციურ უმრავლესობას სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილებების გასასაჩივრებლად. ეს გადაჭარბებული უმრავლესობაა, რამაც შეიძლება დააბრკოლოს მე-7 მუხლის ცვლილების ლეგიტიმური მიზანი და შეანელოს, რომ არაფერი ითქვას ხელის შეშლაზე, მთლიანად დისციპლინური სამართალწარმოების ეფექტიანი განვითარება. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს, როგორც დისციპლინური სამართალწარმოების დაწყებისათვის ერთადერთ უფლებამოსილ ორგანოს, ახალი როლის გათვალისწინებით, და ეფექტიანი მართლმსაჯულების სისტემის დამკვიდრებისათვის, ზემოაღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებები უნდა იქნეს მიღებული უბრალო უმრავლესობით.

B. დისციპლინური სამართალწარმოების კონფიდენციალურობა (მე-5 და 30(4) მუხლების პროექტი)

25. მე-5 მუხლის პროექტი ითვალისწინებს გამონაკლისს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში დისციპლინურ სამართალწარმოებაში კონფიდენციალურობის პრინციპიდან და ადგენს, რომ „დისციპლინური სამართალწარმოების პროცესი უნდა იყოს კონფიდენციალური, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მოსამართლე მოითხოვს მის საჯაროობას“. ამ დებულების პროექტი შეესაბამება მართლმსაჯულების დამოუკიდებლობის შესახებ გაერთიანებული ერების ძირითად პრინციპებს, რომლებიც მოითხოვს, რომ „ადრეულ ეტაპზე სარჩელის

განხილვა უნდა იყოს კონფიდენციალური, თუ მოსამართლე სხვაგვარად არ მოითხოვს⁸.

26. თუმცა საჯაროობა სახელმძღვანელო პრინციპი უნდა იყოს დისციპლინური სამართალწარმოების შემდეგი ეტაპებისთვისაც. როგორც მართლმსაჯულების დამოუკიდებლობის შესახებ კიევის რეკომენდაციების 26-ე პარაგრაფშია მითითებული, „(...) გამჭვირვალობა უნდა იყოს მოსამართლეთა დისციპლინური საქმეების განხილვის წესი. ამგვარი განხილვები უნდა იყოს ღია, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსამართლე მოითხოვს მის დახურვას“. ამ თვალსაზრისით, 30(4) მუხლის პროექტი, რომლის მიხედვითაც „სადისციპლინო კოლეგიის სხდომები უნდა იყოს დახურული“, პრობლემურია⁹. ერთი მხრივ, რეკომენდებულია, რომ სხდომები, როგორც ზოგადი წესი, იყოს საჯარო და დაიხუროს მხოლოდ, როგორც გამონაკლისი, მოსამართლის მოთხოვნის და კანონით გაწერილ შემთხვევებში. მეორე მხრივ, 30(4) მუხლის ფორმულირებიდან არ არის ნათელი, საჯაროობის შესახებ მოსამართლის მოთხოვნა, როგორც იუსტიციის უმაღლეს საბჭოში არსებულ პროცესშია მითითებული (მე-5 მუხლის პროექტი), წარმოადგენს გამონაკლისს სადისციპლინო კოლეგიის სხდომების დროს მოქმედი კონფიდენციალურობის პრინციპიდან თუ მხოლოდ განხილვასთან დაკავშირებული ინფორმაციიდან. ამდენად, რეკომენდებულია – თუ კანონის პროექტში უნდა დარჩეს სადისციპლინო კოლეგიის სხდომების კონფიდენციალურობის პრინციპი, მოსამართლის მოთხოვნა მკაფიოდ განისაზღვროს, როგორც გამონაკლისი კონფიდენციალურობის პრინციპიდან.

C. დისციპლინური სამართალწარმოების საფუძვლები (დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ კანონის მე-2 მუხლი)

27. დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ კანონის 2007 წლის დასკვნაში¹⁰ ვენეციის კომისიამ მიიჩნია, რომ „პასუხისმგებლობის საფუძვლები (...) უნდა გადაიხედოს და ჩამოყალიბდეს უფრო კონკრეტულად და იმგვარად, რომ აღიკვეთოს დისციპლინური სამართალწარმოების, როგორც ინსტრუმენტის გამოყენება სხვა მიზნებისთვის, გარდა გათვალისწინებულისა“.

⁸ იხილეთ, მართლმსაჯულების დამოუკიდებლობის შესახებ გაერთიანებული ერების ძირითადი პრინციპების მე-17 პარაგრაფი.

⁹ CDL-AD(2014)007, სომხეთის მართლმსაჯულების კოდექსის ცვლილებისა და დამატების შესახებ ერთობლივი დასკვნა, მიღებული ვენეციის კომისიის მიერ 98-ე პლენარულ სესიაზე (ვენეცია, 2014 წლის მარტის 21-22 მარტი).

¹⁰ CDL-AD(2007)009, საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური დევნის შესახებ კანონის დასკვნა, მიღებული ვენეციის კომისიის მიერ 70-ე პლენარულ სესიაზე (ვენეცია, 2007 წლის მარტის 16-17 მარტი).

28. სამწუხაროა, რომ აღნიშნულ დასკვნაში ვენეციის კომისიის მიერ გამოთქმული კრიტიკის მიუხედავად, მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ საფუძვლები (დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ კანონის მე-2 მუხლი) არ არის გათვალისწინებული განსახილველ კანონპროექტში. მიუხედავად იმისა, რომ, როგორც ჩანს, დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ კანონის 2(2) მუხლის „ა“ ქვეპუნქტი, რომელიც ვენეციის კომისიამ გააკრიტიკა, გაუქმდა 2012 წლის მარტში, აღნიშნული მუხლის „თ“ ქვეპუნქტის შინაარსი („სამოსამართლო ეთიკის ნორმების სხვაგვარი დარღვევა“), რომელზეც, ასევე, ვრცელდებოდა კომისიის კრიტიკა, შენარჩუნდა 2(2) მუხლის „ი“ ქვეპუნქტში („სამოსამართლო ეთიკის დარღვევა“), სხვა ფორმულირებით. ვენეციის კომისია და დირექტორატი კიდევ ერთხელ აღნიშნავენ, რომ ზემოხსენებულ მუხლში გაუგებარია, მითითება კეთდება ეთიკის მოქმედ კოდექსზე, თუ ზოგადად, დაუწერელ წესებზე. მთელ რიგ დასკვნებში ვენეციის კომისიამ გააკრიტიკა ეთიკის კოდექსების დარღვევის დასჯადობა, როგორც ძალიან ვრცელი და ბუნდოვანი, კომისია ამტკიცებდა, რომ საჭიროა გაცილებით მეტი დაკონკრეტება იმ დებულებებისა, რომელთა საფუძველზეც ხდება დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება¹¹. შესაბამისად, ვენეციის კომისია და დირექტორატი კიდევ ერთხელ მიუთითებენ ვენეციის კომისიის წინა რეკომენდაციაზე განსახილველი კანონიდან აღნიშნული დებულების ამოღებისა და დისციპლინური გადაცდომების დეტალური ჩამონათვალის გათვალისწინების თაობაზე.

29. პოზიტიურია, რომ 2012 წლის მარტში წარმოდგენილი ცვლილებით, დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ კანონის მე-2 მუხლს დაემატა მე-3 პუნქტი იმ მიზნით, რათა დისციპლინური პასუხისმგებლობა არ გავრცელდეს საქმის განხილვის პროცესში მოსამართლის მიერ განხორციელებულ სამართლებრივ ინტერპრეტაციაზე: *„კანონის არასწორი განმარტება, რომელიც ეფუძნება მოსამართლის შინაგან რწმენას, არ შეიძლება ჩაითვალოს დისციპლინურ გადაცდომად და ამ ქმედებისათვის არ უნდა მოხდეს მოსამართლისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება“*. ეს დებულება შეესაბამება საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური დევნის თაობაზე კანონის შესახებ ვენეციის კომისიის 2007 წლის დასკვნაში არსებულ რეკომენდაციას.¹² თუმცა, თბილისში ვიზიტისას, რამდენიმე მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მოსამართლის წინააღმდეგ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების საფუძვლების კუთხით კანონში არარსებული სიცხადის გამო, დისციპლინური პასუხისმგებლობის დაწყების საფუძვლების საკითხი არის იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ინტერპრეტაციის საგანი და,

¹¹ ტაჯიკეთის რესპუბლიკის სამოსამართლო ეთიკის კოდექსის პროექტის შესახებ დასკვნა (CDL-AD(2013)035); CDL-AD(2014)006, 35-ე პარაგრაფი; CDL-AD(2014)007, 111-ე პარაგრაფი.

¹² CDL-AD(2007)009, საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური დევნის შესახებ კანონის დასკვნა, 21-ე პარაგრაფი.

როგორც პრაქტიკა აჩვენებს, უმაღლესი საბჭოს მიერ განხილული საჩივრების უმრავლესობაში შეშფოთება გამოწვეულია მართლმსაჯულების ადმინისტრირებაში არსებული გაჭიანურებით და *მოსამართლის ვალდებულებების არასათანადო შესრულებით* (დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ კანონის 2(2) „ვ“ ქვეპუნქტი). არ არის ცხადი, გამოიწვია თუ არა აღნიშნულმა საჩივრებმა მოსამართლეების წინააღმდეგ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყება. თუმცა ეს დებულება ცხადყოფს ახლად წარმოდგენილი 2(3) მუხლის ეფექტიანი იმპლემენტაციის მნიშვნელობას და გამორიცხავს „არასწორ განმარტებას“ დისციპლინური პასუხისმგებლობის სფეროდან. შესაბამისად, ეს დებულება უნდა დაექვემდებაროს მკაცრ განმარტებას სადისციპლინო ორგანოს მხრიდან, და იმისათვის, რომ დაცული იქნეს მოსამართლის ფუნქციის არსი – სასამართლო განხილვის დამოუკიდებლობა, დისციპლინური პასუხისმგებლობის სხვადასხვა საფუძვლის ფართო და ღია ინტერპრეტაცია თავიდან უნდა იქნეს აცილებული.

30. ვენეციის კომისია და დირექტორატი, ასევე, იძლევიან დისციპლინური პასუხისმგებლობის არსის (ანუ საფუძვლები) შესახებ სამართლებრივი დებულებების დამატებით გადახედვის რეკომენდაციას (დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ კანონის 2(2) მუხლი).

D. მტკიცების სტანდარტი დისციპლინურ სამართალწარმოებაში

31. არც მოქმედი კანონი და არც ცვლილებების პროექტი არ არეგულირებს მტკიცების სტანდარტის საკითხს და მტკიცებულების ბუნებას, რომელიც დასაშვებია დისციპლინურ სამართალწარმოებაში; ასევე, არ შეიცავს დებულებას, რომელიც მიუთითებს ადმინისტრაციულ, სამოქალაქო ან სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებზე, რათა ანალოგიის სახით გამოყენებული იქნეს შესაბამისი კოდექსის სტანდარტი დისციპლინურ სამართალწარმოებაში, კერძოდ, ის პროცედურული საკითხები, რომლებსაც არ არეგულირებს დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ კანონი. ამდენად, არ არის ნათელი, რომელი მტკიცებულება მიიჩნევა რელევანტურად, დასაშვებად ან საკმარისად და რომელი კრიტერიუმი გამოიყენება ამ მიზნით.

32. მიუხედავად იმისა, რომ მოქმედი კანონის მე-6 მუხლი მიუთითებს, თუ ვინ შეიძლება იყოს მოსარჩელე (ნებისმიერი პირი, გარდა ანონიმურისა, სხვა მოსამართლე, სასამართლოს ან იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოხელე, საგამომიებო ორგანოები, მასმედია) და იმ საშუალებებს, რომლებიც სარჩელის შეტანისას უნდა იქნეს გამოყენებული (იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მომზადებული სპეციალური ფორმა, საგამომიებო ორგანოს შემთხვევაში – ცნობა, მოსამართლის ან სასამართლო მოხელის სარჩელის შემთხვევაში – განმარტებითი ბარათი და ა.შ.), კანონით არ

რეგულირდება, მაგალითად, იუსტიციის უმაღლესი საბჭო ან სადისციპლინო კოლეგია მიიღებს თუ არა მხედველობაში უკანონო გზებით მოპოვებულ მტკიცებულებას (რომელიც დაუშვებლად გამოცხადდებოდა სამოქალაქო, ადმინისტრაციულ ან სისხლის სამართლის პროცესში). აღნიშნულმა ფაქტორმა შესაძლოა გავლენა მოახდინოს გასაჩივრების პროცესზე, როცა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ან სადისციპლინო კოლეგიის მიერ მხედველობაში მიღებული ცალკეული მტკიცებულება უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის მიერ შეიძლება დაუშვებლად იქნეს მიჩნეული.

33. გასაგებია, რომ დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ კანონმა შესაძლოა ვერ მოიცვას ყველა შესაძლო პროცედურული საკითხი, რომელიც სამართალწარმოებისას შეიძლება წარმოიშვას. თუმცა პროცედურული საკითხების შესახებ ცხადი წესების არარსებობა, რამაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს შესაბამისი მოსამართლის დაცვის უფლებაზე, შეიძლება გამოიწვიოს სერიოზული ეჭვი ECHR-ის მე-6 მუხლით გარანტირებული სამართლიანი სასამართლოს სტანდარტთან სამართალწარმოების შესაბამისობის თვალსაზრისით, რომელიც გამოიყენება დისციპლინური სამართალწარმოებისას თავისი სამოქალაქო და სისხლის სამართლის ნაწილებით¹³.

34. ამდენად, რეკომენდებულია კანონის პროექტის შესაბამისი ცვლილება, რათა ცალსახად გათვალისწინებული იქნეს ის გარემოება, რომ თუ დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ კანონში არ არის დარეგულირებული ცალკეული პროცედურული საკითხი, ანალოგიის წესით შეიძლება გამოყენებული იქნეს ერთ-ერთი საპროცესო კოდექსი, და, ამასთან, დასაშვები იქნება მხოლოდ აღნიშნულ კოდექსში მტკიცებულების შეგროვების შესახებ განსაზღვრული წესის შესაბამისად მოპოვებული მტკიცებულება. მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის ფაქტი, რომ, ზოგადად, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი შეიცავს დაცვის უკეთეს გარანტიებს პროცესის სამართლიანობის უზრუნველყოფის კუთხით.

E. კერძო სარეკომენდაციო ბარათი

35. დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ კანონის 19(1) მუხლის პროექტი, 48-ე და 51-ე მუხლებთან ერთად, იუსტიციის უმაღლეს საბჭოსა და სადისციპლინო კოლეგიას აძლევს სამართალწარმოების შეწყვეტის და შესაბამისი მოსამართლისათვის კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვის უფლებას. იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ შეიძლება მიიღოს ასეთი გადაწყვეტილება, თუ, 19(1) მუხლის პროექტის თანახმად, საქმის წინასწარი გამოძიება ცხადყოფს, რომ მოსამართლემ ჩაიდინა დისციპლინური გადაცდომა, მაგრამ სადისციპლინო კოლეგიისათვის მოსამართლის საქმის გადაცემა

¹³ ECHR, *კემპბელი და ფელი*, № 7819/77, *ოლუჯიჩი ხორვატიის წინააღმდეგ*, № 22330/05, *ვოლკოვი უკრაინის წინააღმდეგ*, № 21722/11.

მიზანშეუწონლად მიიჩნევა. დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ კანონის 51(1) მუხლი, რომელიც არეგულირებს კერძო სარეკომენდაციო ბარათთან დაკავშირებულ საკითხებს სადისციპლინო კოლეგიაში სამართალწარმოების მიმდინარეობისას, ითვალისწინებს უფრო დეტალურ, თუმცა მაინც ბუნდოვან დებულებებს. 51(1) მუხლის თანახმად, მას შემდეგ, რაც გადაწყდება, რომ საქმის განხილვისას შესაბამისი მოსამართლის მიერ გადაცდომის ჩადენა დადასტურდა, სადისციპლინო კოლეგიამ შეიძლება დისციპლინური სახდელის დაკისრება მიზანშეუწონლად მიიჩნიოს „გადაცდომის უმნიშვნელო ბუნების, ბრალის მცირე ხარისხის ან სხვა საფუძვლის გამო, როგორცაა განსახილველი საქმის დელიკატურობა ან სხვა მიზეზები, მოსამართლის პიროვნების მხედველობაში მიღებით“ და „მოსამართლის მიმართ გამოიყენოს კერძო სარეკომენდაციო ბარათი.

36. მიუხედავად 51(1) მუხლის პროექტში წარმოდგენილი განმარტებისა, რომლის მიხედვითაც კერძო სარეკომენდაციო ბარათი არის იმ მოსამართლისათვის გაგზავნილი ბარათი, რომელმაც ჩაიდინა დისციპლინური გადაცდომა, და რომ მასში დისციპლინური გადაცდომა უარყოფითადაა შეფასებული, იგი არ ჰფენს ნათელს, მიიჩნევა თუ არა კერძო სარეკომენდაციო ბარათი დისციპლინურ სანქციად. თბილისში გამართული შეხვედრებისას დელეგაციას აცნობეს, რომ კერძო სარეკომენდაციო ბარათი მეტწილად უნდა იქნეს მიჩნეული ცნობად, რომელიც ეხება სამართალწარმოებისას წამოჭრილ დისციპლინურ საკითხებს და შინაარსობრივად შეიცავს დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ კანონის 51(1) მუხლში მოცემულ რეკომენდაციებს, მაგალითად, იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა აღმოიფხვრას დარღვევები, ან მოიძებნოს პრობლემების გადაჭრის, ასევე, მოსამართლის ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებული სიძნელეების გადალახვის გზები“. აღსანიშნავია, რომ კერძო სარეკომენდაციო ბარათი არ არის მითითებული დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ კანონის 4(1) მუხლში მოცემულ „დისციპლინურ სახდელთა“ შორის (როგორცაა გათავისუფლება, მკაცრი საყვედური და ა.შ.), თუმცა მითითებულია 4(2) მუხლში „დისციპლინურ ღონისძიებებს“ შორის.

37. თუმცა, სარეკომენდაციო ბარათმა მაინც შეიძლება ნეგატიური გავლენა მოახდინოს მოსამართლის სამოსამართლო კარიერაზე: იუსტიციის უმაღლესი საბჭო ან სადისციპლინო კოლეგია, პირველ რიგში, ადგენს, რომ მოსამართლემ ჩაიდინა დისციპლინური გადაცდომა, შემდეგ იღებს გადაწყვეტილებას, არ გამოიყენოს 4(1) მუხლში ჩამოთვლილი რომელიმე დისციპლინური სახდელი, რომელსაც კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით მიზანშეუწონლად მიიჩნევს, თუმცა გამოიყენოს დისციპლინური ღონისძიება, მაგალითად, კერძო სარეკომენდაციო ბარათი, რომელიც მითითებულია 4(2) მუხლში, სხვა ღონისძიებებთან ერთად. ამასთანავე, დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ კანონის 60(1) მუხლი, რომელიც არეგულირებს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატაში სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილების

გასაჩივრების პროცედურას, 48(1) („ბ“-„ე“) მუხლზე მითითებით, მხარეებს აძლევს უფლებას, გაასაჩივრონ სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილება „მოსამართლის მიმართ კერძო სარეკომენდაციო ბარათის გამოყენების“ შესახებ. სადისციპლინო კოლეგიის მიერ მოსამართლის მიმართ კერძო სარეკომენდაციო ბარათის გამოყენების შესახებ გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობა ამყარებს ზემოხსენებულ მსჯელობას, რომლის თანახმად, კერძო სარეკომენდაციო ბარათმა შეიძლება ნეგატიური გავლენა მოახდინოს მოსამართლეთა სამოსამართლო კარიერაზე. თუმცა, როგორც ჩანს, არც დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ კანონი და არც კანონის პროექტი არ შეიცავს დებულებას, რომელიც მხარეებს აძლევს შესაბამისი მოსამართლისათვის კერძო სარეკომენდაციო ბარათის გაგზავნის შესახებ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობას. ეს კი იმას ნიშნავს, რომ იგივე დისციპლინური ღონისძიება, რომელიც მითითებულია დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ კანონის 4(2) მუხლში, შეიძლება გაიცეს ორი სხვადასხვა ორგანოს – სადისციპლინო კოლეგიისა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ. ამასთანავე, მაშინ, როცა სადისციპლინო კოლეგიის მიერ გამოყენებული ღონისძიების გასაჩივრება არის შესაძლებელი, იგივე შესაძლებლობა არ არსებობს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გამოყენებული ღონისძიების მიმართ.

38. გარდა ამისა, იუსტიციის უმაღლესი საბჭო, მოსამართლის მიმართ კერძო სარეკომენდაციო ბარათის გამოყენებისას, იმავდროულად, მოქმედებს, როგორც საგამოძიებო ორგანო და ორგანო, რომელიც ადგენს გადაცდომას და წყვეტს გამოსაყენებელი სახდელის საკითხს. ეს ფუნქციები უნდა განცალკევდეს სათანადო საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად¹⁴. აგრეთვე, არც მოქმედი კანონით და არც ცვლილებების პროექტით არ არის გათვალისწინებული გასაჩივრების შესაძლებლობა.

39. ამასთანავე, თბილისში ვიზიტისას მიღებული ინფორმაციის შესაბამისად, როგორც ჩანს, მოსამართლემ, რომლის საქმეც განიხილება იუსტიციის უმაღლეს საბჭოში, შეიძლება მიიღოს კერძო სარეკომენდაციო ბარათი უმაღლესი საბჭოსაგან იმის ცოდნის გარეშე, რომ მის წინააღმდეგ არსებობდა ბრალდება, რომელიც გამოძიებული იქნა, და მისთვის ამ ბრალდებაზე განმარტების გაკეთების შესაძლებლობის მიცემის გარეშე.

40. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ვენეციის კომისიისა და დირექტორატის შეხედულებით, კერძო სარეკომენდაციო ბარათი, რომელსაც კანონი დისციპლინურ ღონისძიებად მიიჩნევს და რომელიც გავლენას ახდენს მოსამართლეთა სამოსამართლო კარიერაზე, უნდა გამოიცეს მხოლოდ სადისციპლინო კოლეგიის, ანუ იმ ორგანოს მიერ, რომელიც უფლებამოსილია, გადაწყვიტოს დისციპლინური ბრალდებების არსი და რომლის გადაწყვეტილების წინააღმდეგაც შესაძლებელია საჩივრის შეტანა უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატაში. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობა

¹⁴ იხილეთ, სქოლიო 4.

შეიძლება შემოიფარგლოს მოსამართლისათვის რეკომენდაციების სიის გაგზავნით „დარღვევების აღმოფხვრის, პრობლემების გადაჭრის გზების, ასევე, მოსამართლის ვალდებულებებთან დაკავშირებული სიძნელების შესახებ“, რომელიც მოქმედ სისტემაში უნდა დაერთოს კერძო სარეკომენდაციო ბარათს დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ კანონის 51(2) მუხლის თანახმად. თუმცა, მითითებული რეკომენდაციები არ უნდა ჩაითვალოს არც დისციპლინურ სახდელად (4(1) მუხლი) და არც დისციპლინურ ღონისძიებად (4(2) მუხლი) და მათ არ უნდა მოახდინონ გავლენა მოსამართლეების კარიერაზე, რა შემთხვევაშიც მოთხოვნა საგამომიებო და გადაწყვეტილების მიმღები ორგანოების განცალკევების თაობაზე შესაძლოა დაირღვეს.

41. იმ შემთხვევაში, თუ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მოსამართლესთვის კერძო სარეკომენდაციო ბარათის გაგზავნის უფლებამოსილება (19(1) მუხლის პროექტი) უნდა შენარჩუნდეს, რაც რთულად შეესაბამება ზემოხსენებულ საერთაშორისო სტანდარტებს, მაშინ შესაძლებელი უნდა იყოს კერძო სარეკომენდაციო ბარათის გაგზავნის შესახებ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება და შესაბამის მოსამართლეს უნდა ჰქონდეს მის წინააღმდეგ მიღებულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით განმარტების წარდგენის შესაძლებლობა. წინააღმდეგ შემთხვევაში, მხარეთა თანასწორობა დაირღვევა.

42. გარდა ამისა, იუსტიციის უმაღლესი საბჭოსა და სადისციპლინო კოლეგიისათვის დატოვებული დისკრეციული უფლებამოსილება – შეაფასონ კერძო სარეკომენდაციო ბარათის, როგორც დისციპლინური ღონისძიების, გამოყენების საფუძვლები, – ზედმეტად ვრცელია. იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ შეიძლება გამოიყენოს აღნიშნული ღონისძიება, თუ იგი მიიჩნევს, რომ დისციპლინური ბრალდება მიზანშეუწონელია (19(1) მუხლის პროექტი) და ეს ღონისძიება, ასევე, შეიძლება გამოიყენოს სადისციპლინო კოლეგიამ, თუ მოსამართლისათვის დისციპლინური სახდელის დაკისრებას მიზანშეუწონლად მიიჩნევს, გადაცდომის უმნიშვნელო ბუნების, ბრალის მცირე ხარისხის ან სხვა ბუნდოვნად ჩამოყალიბებული მოტივის გამო. განსაკუთრებით რეკომენდებულია, რომ საფუძვლები, რომელთა გამოყენებითაც შესაძლებელია მოსამართლისათვის კერძო სარეკომენდაციო ბარათის გაგზავნა, ჩამოყალიბდეს ნათელი ფორმულირებითა და არაორაზროვანი განმარტებით 51(1) მუხლში, ხოლო განსახილველ კანონში 19(1) მუხლის შენარჩუნების შემთხვევაში, დისციპლინური ბრალდების მიზანშეუწონილების შეფასებისას სადისციპლინო ორგანოების დისკრეცია საკმარისად უნდა შეიზღუდოს. მოქმედი რედაქციის თანახმად, 51-ე მუხლი შეიძლება გამოყენებული იქნეს მოსამართლეების დამოუკიდებელი სამოსამართლო ფუნქციების დასჯის მიზნებისთვის.

43. დაბოლოს, რეკომენდებულია, რომ 51-ე მუხლის მე-2 პუნქტს ბოლოში დაემატოს სიტყვა – „აუცილებლობისას“. სხვა შემთხვევაში, სადისციპლინო კოლეგია ვალდებული იქნებოდა დაამატოს რეკომენდაციების სია ყოველ ჯერზე, როცა იგი გადაწყვეტს კერძო

სარეკომენდაციო ბარათის გაგზავნას, ერთჯერადი შემთხვევების დროსაც კი, რაც მხოლოდ კოლეგიის სამუშაოს მოცულობას გაზრდის.

F. დისციპლინური სამართალწარმოებისას მოსარჩელეს სტატუსი (17(5) და 58(1) მუხლების პროექტი, 39(7) მუხლი)

44. კანონის პროექტი სარჩელის ავტორს აძლევს შესაძლებლობას, მიწვეულ და მოსმენილ იქნეს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომაზე, თუ ეს უკანასკნელი აუცილებლად მიიჩნევს (17(5) მუხლის პროექტი), და ასევე სადისციპლინო კოლეგიაში, რაც გამომდინარეობს 39(7) მუხლიდან: „დისციპლინური ბრალდების წარმდგენი შემოიფარგლება მხოლოდ დისციპლინური ბრალდების წაყენებით და მისი დასაბუთებით (...)“. თუმცა, იმავე დებულებიდან გამომდინარე, „მას არ აქვს უფლება მოითხოვოს მოსამართლისთვის კონკრეტული დისციპლინური სახდელის ან ღონისძიების დაკისრება“.

45. გარდა ამისა, 51(3) მუხლის პროექტის თანახმად, სარჩელის ავტორს, შესაბამის მოსამართლესთან ერთად, უნდა გადასცენ კერძო სარეკომენდაციო ბარათი, კონფიდენციალურობის პრინციპიდან გამონაკლისის სახით, რომელსაც თან ერთვის გაუმჟღავნებლობის დაცვის გარანტიები (მოსარჩელემ ხელი უნდა მოაწეროს სარეკომენდაციო ბარათის შინაარსის გაუმჟღავნებლობის შესახებ დოკუმენტს). თუმცა დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ კანონსა და კანონის პროექტში არ არსებობს დებულება მოსარჩელის მიერ ბარათის შინაარსის გამჟღავნების შედეგების შესახებ.

46. როგორც ჩანს, მოსარჩელე სარგებლობს სადისციპლინო კოლეგიაში მიმდინარე სამართალწარმოებაში ჩართულობის გონივრული ხარისხით იმდენად, რამდენადაც განხილვაში მონაწილეობის შესაძლებლობის გარდა (მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული შესაძლებლობა არ არის ნათლად გაწერილი 39(7) მუხლში), 58(1) მუხლის პროექტის თანახმად, სარჩელის ავტორს უნდა ეცნობოს სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილების შესახებ. შესაბამისად, მოსარჩელესათვის ცნობილი იქნება იმ დისციპლინური პროცესის შედეგი, რომელიც მისი სარჩელის საფუძველზე დაიწყო.

47. მოსამართლის წინააღმდეგ მიმდინარე დისციპლინურ პროცესში მოსარჩელის მონაწილეობის საკითხის სამართლებრივი გადაწყვეტა შეიძლება განსხვავდებოდეს ქვეყნების მიხედვით. ერთი მხრივ, ზოგადად, მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობა მიიჩნევა, როგორც მართლმსაჯულების შიდა საკითხი, ანუ საკითხი მართლმსაჯულებასა და მოსამართლეს შორის, რაც ამართლებს დისციპლინურ სამართალწარმოებაში მოსარჩელის როლზე დაკისრებულ შეზღუდვებს. მეორე მხრივ, მოსარჩელე შეიძლება იყოს მოსამართლის შესაძლო დისციპლინური გადაცდომის

მსხვერპლი და შეიძლება ჰქონდეს სამართალწარმოებაში მონაწილეობის ლეგიტიმური ინტერესი, განსაკუთრებით მაშინ, როცა მისი უფლებები დაირღვა მოსამართლის გადაცდომის გამო. მოსარჩელეს მონაწილეობამ, ასევე, შეიძლება ნათელი მოჰფინოს განსახილველი საქმის კონკრეტულ გარემოებებს და სადისციპლინო ორგანოების წევრებს (იუსტიციის უმაღლესი საბჭო და სადისციპლინო კოლეგია) მისცეს შესაძლებლობა, გადაამოწმონ მისი ბრალდებების სიმართლე ზეპირი განმარტებების მოსმენის გზით. ამასთანავე, იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს დისციპლინურ სამართალწარმოებას დაქვემდებარებული მოსამართლის უფლებების დაცვა, გაუმყდავენებლობის შესახებ დებულება ეფექტიანად უნდა დაინერგოს.

48. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დებულებები, რომლებიც მოსარჩელეს აძლევს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსა და სადისციპლინო კოლეგიაში მიმდინარე სამართალწარმოებაში მონაწილეობის უფლებას, პრინციპში, მისასაღმებელია. თუმცა კანონის პროექტმა, აგრეთვე, უნდა გაითვალისწინოს მოსარჩელეს მიერ დისციპლინურ საქმესთან დაკავშირებული ინფორმაციის გამჟღავნების შედეგების შესახებ ზოგიერთი დებულება. ასევე, რეკომენდებულია, რომ 17(5) მუხლში ნათლად გაიწეროს კრიტერიუმი, რომლის საფუძველზეც იუსტიციის უმაღლეს საბჭოს შეეძლება საქმის განხილვაში მოსარჩელეს მოსმენის აუცილებლობის გადაწყვეტა. გარდა ამისა, 39(7) მუხლმა, ასევე, არაორაზროვნად უნდა განსაზღვროს, შეიძლება თუ არა სადისციპლინო კოლეგიაში საქმის განხილვისას, როგორც გამონაკლისი კონფიდენციალურობის პრინციპიდან, მოწვეული იქნეს მოსარჩელე, და რა პირობებით.

G. მოსამართლის სტატუსი დისციპლინურ სამართალწარმოებაში

49. მოსამართლეს, რომლის მიმართაც მიმდინარეობს დისციპლინური სამართალწარმოება, გამოძიების ადრეულ ეტაპზე უნდა ეცნობოს ამის შესახებ და მას უნდა ჰქონდეს ადვოკატის უფლება. ეს უკანასკნელი უნდა გამოიყენებოდეს დისციპლინური სამართალწარმოების ყველა ეტაპზე. თუმცა არც მოქმედი კანონი და არც ცვლილებების კანონპროექტი არ ითვალისწინებს მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების ფორმალური დაწყების შესახებ ცხად დებულებებს. არ არის ნათელი, სამართალწარმოება უნდა ჩაითვალოს დაწყებულად მაშინ, როცა იუსტიციის უმაღლესი საბჭო სრული შემადგენლობის 2/3-ის უმრავლესობით მიიღებს გადაწყვეტილებას მოსამართლისაგან განმარტების მოთხოვნის შესახებ, თუ მაშინ, როცა სამდივნოს წინასწარი გამოძიება იწყება. თბილისში ვიზიტისას დელეგაციას აცნობეს, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭო საქმის წინასწარი გამოძიების ეტაპზევე ითხოვს მოსამართლისაგან წერილობით განმარტებებს ბრალდებების შესახებ და სწორედ ამ მომენტიდან იღებს მოსამართლე ინფორმაციას გამოძიების შესახებ და

თავისუფალია, ისარგებლოს ადვოკატის დახმარებით. თუმცა, მოქმედი კანონის მე-8 მუხლი, რომელიც არეგულირებს სამდივნოს წინასწარ გამოძიებას, ამ უკანასკნელს არ აკისრებს შესაბამის მოსამართლესთან დაკავშირების ვალდებულებას წერილობითი მოსაზრებების მოთხოვნის თაობაზე; როგორც ჩანს, ეს დაკავშირება დამოკიდებულია სამდივნოს დისკრეციაზე. იმ შემთხვევაში, როცა მოსამართლეს არ უკავშირდებიან, მას ეცნობება გამოძიების შესახებ, თუ იუსტიციის უმაღლესი საბჭო, 9(1) მუხლის შესაბამისად, სრული შემადგენლობის 2/3-ის უმრავლესობით გადაწყვეტს, რომ მოსამართლისაგან მოითხოვოს განმარტება. აღნიშნულ მომენტამდე მოსამართლისათვის არ იქნება ცნობილი სამართალწარმოების შესახებ და არ მას ექნება შესაძლებლობა მოიძიოს სამართლებრივი დახმარება. გარდა ამისა, თუ იუსტიციის უმაღლესი საბჭო 19(1) მუხლის შესაბამისად გადაწყვეტს მოსამართლისათვის კერძო სარეკომენდაციო ბარათის გაგზავნას, მოსამართლისათვის ბარათის მიღებამდე არ იქნება ცნობილი გამოძიების შესახებ და, ამდენად, იგი ვერ ისარგებლებს სამართლებრივი დახმარების უფლებით.

50. ვენეციის კომისია და დირექტორატი გასცემენ რეკომენდაციას, რომ მხარეთა თანასწორობის პრინციპის შესრულების უზრუნველყოფისათვის, კანონის პროექტი შესწორდეს იმგვარად, რომ მოსამართლეს ეცნობოს გამოძიების შესახებ წინასწარი გამოძიების ეტაპზევე, რათა მას ჰქონდეს სამართლებრივი დახმარებით სარგებლობის შესაძლებლობა ადრეულ ეტაპზე. ამ თვალსაზრისით, არ არის საკმარისი ის, რომ 39(4) მუხლის პროექტის თანახმად, მოსამართლეს შეუძლია მოიწვიოს ადვოკატი იუსტიციის უმაღლეს საბჭოში საქმის განხილვისას. ეს უფლება უნდა გაიწეროს სხვა მუხლში და იქნეს გამოყენებული დისციპლინური სამართალწარმოების ყველა ეტაპზე და არა მხოლოდ სადისციპლინო კოლეგიაში საქმის განხილვის კონტექსტში.

51. მისასაღმებელია, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭო ვალდებულია მოსამართლე მოიწვიოს სესიაზე, როდესაც იგი განიხილავს დისციპლინური ბრალდების გადაცემის ან დისციპლინური წარმოების შეწყვეტის საკითხს (17(5) მუხლის პროექტი) მაშინ, როცა დებულების მოქმედ რედაქციაში იუსტიციის უმაღლეს საბჭოს აქვს დისკრეციული უფლებამოსილება, მოიწვიოს ან არ მოიწვიოს სესიაზე შესაბამისი მოსამართლე.

52. 35(1) მუხლის პროექტი არეგულირებს სადისციპლინო კოლეგიის წევრის ან ყველა წევრის აცილების პროცედურას იმ მოსამართლის მიერ, ვისი დისციპლინური ბრალდებებიც გადაცემულია, ან იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ, თუმცა არ მიუთითებს აცილების საფუძვლებს (მაგალითად, 34(1) მუხლში და 34(2) მუხლში სადისციპლინო კოლეგიის წევრის თვითაცილების საფუძვლებად მითითებულია: დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობის არარსებობა ან სიტუაცია, როდესაც კოლეგიის წევრის მიერ ან მისი მონაწილეობით მიღებული გადაწყვეტილება ან ბრძანება ან კერძო გადაწყვეტილება ან მოხსენება გახდა შესაბამისი მოსამართლის წინააღმდეგ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების საფუძველი). ამის გარდა, დებულება

არ მიუთითებს სხვა საპროცესო კოდექსზე ან პროცედურულ სტანდარტებზე. რეკომენდებულია, 35(1) მუხლში გათვალისწინებული იქნეს მითითება 34(1) მუხლსა და 34(2) მუხლის პროექტში მოცემულ სადისციპლინო კოლეგიის წევრის თვითაცილების საფუძვლებზე.

53. დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ კანონის 42(2) მუხლი მოსამართლეს აძლევს აღიარებისა და დისციპლინური ბრალდების სრულად ცნობის, ასევე, სადისციპლინო კოლეგიისგან მისი დამნაშავედ ცნობის შესახებ გადაწყვეტილების მიღების მოთხოვნის, შესაბამისად, საქმის არსებითი განხილვის გარეშე დისციპლინური სახდელის დაკისრების შესაძლებლობას. დისციპლინური სამართალწარმოების მნიშვნელოვანი ნაწილი ხორციელდება იუსტიციის უმაღლეს საბჭოში და სავარაუდოა, რომ გადაცდომის მითითებული აღიარება მოხდეს უმაღლეს საბჭოში პროცესის მიმდინარეობისას, ანუ სანამ მოხდება საქმის სადისციპლინო კოლეგიისათვის გადაცემა. რეკომენდებულია, რომ კანონის პროექტმა განჭვრიტოს და დაარეგულიროს ზემოხსენებული შესაძლებლობა და განმარტოს მისი სამართლებრივი საფუძვლები იუსტიციის უმაღლეს საბჭოში პროცესის მიმდინარეობისას. უზრუნველყოფილი უნდა იქნეს, რომ მოსამართლეებზე არ მოხდეს ზეწოლა ბრალის აღიარების თვალსაზრისით.

H. დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტა

54. რეკომენდებულია, რომ თავიდანვე მოხდეს სამართალწარმოების შეწყვეტასთან დაკავშირებული ტერმინოლოგიის შეთანხმება. ტერმინოლოგია, გამოყენებული მე-14 მუხლის პროექტში, რომელიც ეხება სამართალწარმოების შეწყვეტას იმ შემთხვევაში, როცა შეწყვეტის წინაპირობები შესრულებულია, უნდა განსხვავდებოდეს ტერმინოლოგიისაგან, გამოყენებული მე-9 მუხლის პროექტში, რომელიც ეხება დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების საფუძვლების შეფასებას.

1. სისხლისსამართლებრივი სამართალწარმოების დაწყება (14(გ), 37(2) და 49(დ) მუხლების პროექტი)

55. კანონის პროექტის 37(2) მუხლი ითვალისწინებს სადისციპლინო კოლეგიის მიერ დისციპლინური სამართალწარმოების შეჩერებას, თუ მოსამართლის ქმედებაში დანაშაულის ნიშნები დისციპლინური საქმის მასალებში აშკარაა. ასეთ შემთხვევაში, სადისციპლინო კოლეგია საქმის მასალებს უგზავნის შესაბამის ორგანოს და აცნობებს შესაბამის მოსამართლეს. დისციპლინური საქმის მასალებზე დაყრდნობით სისხლისსამართლებრივი სამართალწარმოების საკითხს არეგულირებს 14(გ) და 49(დ) მუხლების პროექტი, როგორც დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის საფუძველს უმაღლესი საბჭოს და სადისციპლინო კოლეგიის მიერ. 14(გ) მუხლის პროექტის თანახმად, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ უნდა შეწყვიტოს

სამართალწარმოება, თუ გადაგზავნილი მასალების საფუძველზე მოსამართლის წინააღმდეგ დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა. 49(დ) მუხლი, რომელიც სადისციპლინო კოლეგიის მიერ სამართალწარმოების შეწყვეტას ეხება, ჩამოყალიბებულია იმავე ფორმულირებით. გარდა ამისა სადისციპლინო კოლეგიამ უნდა შეწყვიტოს სამართალწარმოება იმ შემთხვევაშიც, როცა სისხლისსამართლებრივი სამართალწარმოება არ იქნა დაწყებული მოსამართლის ბრალის ან იმ ფაქტების დადგენის შეუძლებლობის გამო, რომლებიც წარმოადგენდა დისციპლინური ბრალდების საფუძველს (49(დ) მუხლის პროექტი *in fine*).

56. სისხლისსამართლებრივი და დისციპლინური პასუხისმგებლობის დამოუკიდებელი ბუნება, მათი განსხვავებული შემადგენელი ელემენტები და მტკიცებულებების განსხვავებული სტანდარტი არ ნიშნავს, რომ ეს ორი ტიპის პასუხისმგებლობა გამორიცხავს ერთმანეთს. დისციპლინური სახდელები შეიძლება სათანადო იყოს სისხლისსამართლებრივი წესით გათავისუფლების შემთხვევაშიც. ამასთანავე, ის ფაქტი, რომ სისხლისსამართლებრივი სამართალწარმოება არ დაიწყება სისხლისსამართლებრივი ბრალის ან ფაქტების დადგენის შეუძლებლობის გამო, არ ნიშნავს, რომ შესაბამისმა მოსამართლემ არ ჩაიდინა დისციპლინური გადაცდომა, ზუსტად ზემოხსენებული ორი ტიპის პასუხისმგებლობის განსხვავებული ბუნების გამო. თუ მოსამართლის მიერ ჩადენილი გადაცდომით შეიძლება შეირყეს მართლმსაჯულების მიმართ საზოგადოებრივი ნდობა, მართლმსაჯულების ინტერესებშია, დაიწყოს დისციპლინური სამართალწარმოება. თუმცა, სისხლისსამართლებრივი სამართალწარმოება განიხილავს არა გადაცდომის ცალკეულ დისციპლინურ ასპექტს, არამედ სისხლისსამართლებრივ ბრალს.

57. ვენეციის კომისია გაგებით ეკიდება საქართველოს სახელისუფლებო ორგანოების შემფოთებას, *vis-à-vis ne bis in idem* პრინციპი, როდესაც მათ წარმოადგინეს დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის ან შეჩერების შესახებ დებულებები იმავე დანაშაულზე სისხლისსამართლებრივი პროცესის დაწყების შემთხვევაში. თუმცა უნდა აღინიშნოს შემდეგი რეკომენდაციები და დაკვირვებები:

58. *ne bis in idem* პრინციპი კრძალავს ორ სასამართლო განხილვასა და დასჯას ერთი და იმავე დანაშაულისათვის ორი სხვადასხვა სისხლისსამართლებრივი სამართალწარმოების ფარგლებში (ECHR, მე-7 ოქმის მე-4 მუხლი). აღნიშნული კი, პრინციპში, არ გამორიცხავს იმავე სამართალდარღვევისათვის დისციპლინური სამართალწარმოების დაწყებას სისხლისსამართლებრივი სამართალწარმოების პარალელურად. თუმცა ეროვნული კანონმდებლობის მიხედვით პროცედურის სამართლებრივი მახასიათებელი არ არის ერთადერთი კრიტერიუმი და ევროპული სასამართლო, ასევე, მხედველობაში იღებს სამართალდარღვევის ბუნებას ან სასჯელის სიმძიმეს, რათა განსაზღვროს ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად „დისციპლინურად“ მიჩნეულ პროცედურას ნამდვილად აქვს თუ არა

სისხლისსამართლებრივი მახასიათებლები ევროპული კონვენციის მიხედვით, რა შემთხვევაშიც მე-7 ოქმის 4(1) მუხლი (*ne bis in idem*) გამოიყენება.

59. პირველ რიგში, ECtHR-ის პრეცედენტული სამართლის თანახმად, *ne bis in idem* პრინციპი კრძალავს „იმავე სამართალდარღვევისათვის“ მეორე სისხლისსამართლებრივ განხილვას, რომელიც წარმოიშობა „იდენტური ფაქტებისგან ან ფაქტებისაგან, რომლებიც არსებითად ერთი და იგივეა“¹⁵. 14(გ), 37(2) და 47(დ) მუხლების პროექტი მიუთითებს „დისციპლინური საქმის მასალის საფუძველზე სისხლისსამართლებრივი სამართალწარმოების დაწყებაზე“, რაც ძალიან ბუნდოვანია კონკრეტულად „იდენტური ფაქტებიდან გამომდინარე იმავე დანაშაულზე“ მისათითებლად. რეკომენდებულია, რომ მუხლების პროექტში მოცემული ტერმინები „დისციპლინური საქმის მასალის საფუძველზე“ შეიცვალოს „იდენტური ფაქტებიდან გამომდინარე იმავე დანაშაულით“, ECtHR-ის ფორმულირების მნიშვნელობით.

60. მეორე რიგში, როდესაც დისციპლინური საქმის მასალების საფუძველზე ხდება სისხლისსამართლებრივი სამართალწარმოების დაწყება, სადისციპლინო კოლეგია და იუსტიციის უმაღლესი საბჭო ვალდებული არიან, შეწყვიტონ დისციპლინური სამართალწარმოება (14(გ) და 49(დ) მუხლების პროექტი). როგორც ზემოთ აღინიშნა, სისხლისსამართლებრივ და დისციპლინური პასუხისმგებლობებს აქვს განსხვავებული ბუნება და მიზნები, ექვემდებარება მტკიცებულების სხვადასხვა სტანდარტს, აქვს სხვადასხვა შემადგენელი ელემენტები და არ გამორიცხავენ ერთმანეთს. შედეგად, ვენეციის კომისიისა და დირექტორატის შეხედულებით, სადისციპლინო ორგანოები, ანუ უმაღლესი საბჭო და სადისციპლინო კოლეგია, არ უნდა იყვნენ ვალდებული, შეწყვიტონ დისციპლინური სამართალწარმოება, როდესაც სისხლისსამართლებრივი საქმის დაწყება ხდება იმავე სამართალდარღვევისათვის. იმისათვის, რომ *ne bis in idem* პრინციპის დარღვევა აღიკვეთოს, ზემოხსენებულ ორგანოებს უნდა ჰქონდეთ სამართალწარმოების შეწყვეტის შესაძლებლობა, თუ ისინი მიიჩნევენ, რომ დისციპლინურ საქმეს აქვს სისხლისსამართლებრივი მახასიათებლები (სამართალდარღვევის ბუნება და შემხვედრი დისციპლინური სახდელის სიმძიმე იქნება სახელმძღვანელო კრიტერიუმი ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გაგებით). იგივე უნდა იქნეს გამოყენებული დისციპლინური სამართალწარმოების შეჩერების კონტექსტში 37(2) მუხლის შესაბამისად. იმ შემთხვევაში, როცა სისხლისსამართლებრივ სამართალწარმოებას დაქვემდებარებული სამართალდარღვევა არ არის იდენტური ფაქტებიდან გამომდინარე იგივე სამართალდარღვევა, ან თუ დისციპლინურ სამართალწარმოებას არ აქვს სისხლისსამართლებრივი ბუნება, არ არსებობს დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის მიზეზი, იმავე

¹⁵ ECHR, სერგეი ზოლოტუხინი რუსეთის წინააღმდეგ [დიდი პალატა], № 14939/03, 2009 წლის 10 თებერვალი, § 82.

დისციპლინური საქმის მასალების საფუძველზე სისხლისსამართლებრივი სამართალწარმოების დაწყების გამო.

2. ბრალდების მოხსნა (42(1) მუხლის პროექტი)

61. 42(1) მუხლის თანახმად, იუსტიციის უმაღლეს საბჭოს შეუძლია, სადისციპლინო კოლეგიაში სამართალწარმოების ნებისმიერ ეტაპზე, მოხსნას მოსამართლისათვის წაყენებული დისციპლინური ბრალდება. ამ შემთხვევაში, სადისციპლინო კოლეგია უნდა იყოს ვალდებული, შეწყვიტოს სამართალწარმოება განხილვის ეტაპის მიუხედავად. პირველ რიგში, დებულების პროექტი ითვალისწინებს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ძლიერ პოზიციას მთელს ამ პროცესში. მეორე რიგში, კანონის პროექტში არ არის ნათლად განსაზღვრული იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარმომადგენლის უფლებამოსილების ფარგლები. მას შემდეგ, რაც უმაღლესი საბჭო თუნდაც სრული შემადგენლობის 2/3-ის უმრავლესობით მიიღებს გადაწყვეტილებას მოსამართლის წაყენებული დისციპლინური ბრალდებით გადაცემის შესახებ, წარმომადგენელს აღარ უნდა შეეძლოს ბრალდებების მოხსნა უმაღლესი საბჭოს ხმის გარეშე.

62. მინისტრთა კომიტეტის CM/Rec (2010)12 რეკომენდაციის 28-ე პარაგრაფი ადგენს, რომ მართლმსაჯულების საბჭოებმა უნდა გამოავლინონ გამჭვირვალობის უმაღლესი ხარისხი მოსამართლეებისა და საზოგადოების მიმართ, მანამდე დამკვიდრებული პროცედურებისა და დასაბუთებული გადაწყვეტილებების განვითარების გზით. შედეგად, წარმომადგენელი, სულ მცირე, ვალდებული უნდა იყოს, წარმოადგინოს საქმის განხილვიდან მოხსნის მიზეზები არა მხოლოდ სამართლებრივი განსაზღვრულობის პრინციპის მოთხოვნების გამო, არამედ, ასევე, შესაბამისი მოსამართლის პროფესიული და პირადი რეპუტაციის დასაცავად.

3. ვადის გასვლა (14(ბ) და 36(2) მუხლების პროექტი)

63. იმ შემთხვევაში, როდესაც დისციპლინური ბრალდების ან დისციპლინური პასუხისმგებლობისა და სახდელის დაკისრების ვადა ამოიწურა, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ (14(ბ) მუხლის პროექტი) ან სადისციპლინო კოლეგიამ (36(2) მუხლის პროექტი) უნდა შეწყვიტოს დისციპლინური სამართალწარმოება. რეკომენდებულია, რომ მსგავსი შეწყვეტა მოხდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ვადის გასვლა არ არის დაკავშირებული შესაბამისი მოსამართლის ქმედებასთან. სხვა შემთხვევაში, მოსამართლე შეეცდებოდა დაეყოვნებინა სამართალწარმოება და, შესაბამისად, ბოროტად გამოეყენებინა, მაგალითად, 12(2) მუხლით გათვალისწინებული შუამდგომლობის წარდგენა და დამატებითი განმარტებების გაკეთების შესაძლებლობა პასუხისმგებლობის არიდების მიზნით.

4. სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილება

64. ყველაზე მეტად მისასალმებელია 56(1) მუხლის პროექტი, ვინაიდან იგი აწესებს გაცილებით მაღალ სტანდარტს მოსამართლის გადაყენებისათვის, ითვალისწინებს რა, რომ დისციპლინური სახდელი არის „უკიდურესი ზომა“, რომელიც უნდა იქნეს გამოყენებული „განსაკუთრებულ შემთხვევებში“. ხსენებული დებულება შეესაბამება პროპორციულობის პრინციპს. თუმცა, სიტყვათშეერთება – „განსაკუთრებულ შემთხვევებში“, ბუნდოვანია და უნდა იქნეს წაკითხული მოქმედი კანონის 54(1) მუხლთან ერთად, რომელიც აწესებს სახელმძღვანელო პრინციპებს, რაც მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული დისციპლინური საქმეების გადაწყვეტისას (მოსამართლის საქმიანობაში ჩაურევლობა) და წარმოდგენილი დასკვნის კომენტარების შესაბამისად. დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ კანონის 2(2) მუხლში მოცემული ცალკეული დებულების ბუნდოვანება, რომელიც ეხება დისციპლინური სამართალწარმოების საფუძვლებს, როგორცაა „მოსამართლის თანამდებობასთან შეუსაბამო ქმედება“ (იხილე, წარმოდგენილი დასკვნის ნაწილი C – დისციპლინური სამართალწარმოების საფუძვლები), კიდევ უფრო მნიშვნელოვანს ხდის 56(1) მუხლის პროექტში მოცემულ მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლების ახალ სტანდარტს.

65. 85(1) მუხლის პროექტი ზღუდავს იმ მოსამართლის დაწინაურებას, ვის მიმართაც აღძრულია დისციპლინური სამართალწარმოება. მითითებული დებულება მისასალმებელია, ვინაიდან დაწინაურებული მოსამართლე შეიძლება შემდეგში ცნონ დამნაშავედ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის გამო, რომელზეც მას ბრალი დაწინაურების პროცესში წარედგინა. სხვა მხრივ, დისციპლინური სამართალწარმოება არის დროში მკაცრად შეზღუდული (მაგალითად, 60(2) მუხლის პროექტი). ამდენად, დებულების პროექტი არ უნდა ითვალისწინებდეს მოსამართლეებისთვის გადამეტებულ ტვირთს დაწინაურების მოლოდინის თვალსაზრისით. რეკომენდებულია, კანონის პროექტში ნათლად გაიწეროს, რომ დისციპლინური სამართალწარმოების შეზღუდვა ავტომატურად აუქმებს დაწინაურებაზე არსებულ შეზღუდვას.

I. გასაჩივრება (60(1), 60(2) და 60(3) მუხლების პროექტი)

66. 60(3) მუხლის პროექტის თანახმად, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ სრული შემადგენლობის 2/3-ის უმრავლესობით შეიძლება გაასაჩივროს სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილება (უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატაში) მისი წარმომადგენლის მეშვეობით. როგორც ზემოთ აღინიშნა, საბჭოს სრული

შემადგენლობის 2/3 ძალიან მაღალი უმრავლესობაა. იმისათვის, რომ დამკვიდრდეს ეფექტიანი დისციპლინური სისტემა, დისციპლინურ საკითხებზე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებები უნდა იქნეს მიღებული ხმათა უბრალო უმრავლესობით.

67. 60(2) მუხლის პროექტი ითვალისწინებს, რომ სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილება უნდა გასაჩივრდეს თავად კოლეგიაში. თუმცა ეს, სავარაუდოდ, მთარგმნელობითი შეცდომაა, ვინაიდან კოლეგიის გადაწყვეტილებები საჩივრდება უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატაში (60(1) მუხლი).

J. სხვა საკითხები

68. რეკომენდებულია კანონის მოქმედი რედაქციის 9(3) მუხლის გადასინჯვა, რომელზეც არ ვრცელდება ცვლილება წარმოდგენილი კანონპროექტის მიხედვით. ეს დებულება უნდა შეიცვალოს, ვინაიდან ცხადია, რომ, როგორც ასეთი, ეწინააღმდეგება აღნიშნული მუხლის პირველ პუნქტში წარმოდგენილ ცვლილებას. მაგალითად, 9(3) მუხლში, ორგანოდ, რომელიც უფლებამოსილია, შესაბამისი მოსამართლისაგან მოითხოვოს განმარტებები, მითითებულია იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სამდივნო მაშინ, როცა აღნიშნული ორგანო მიეკუთვნება თავად იუსტიციის უმაღლეს საბჭოს 9(1) მუხლის პროექტის თანახმად.

69. 77-ე მუხლის მოქმედი რედაქცია ითვალისწინებს, რომ სადისციპლინო კოლეგიამ და სადისციპლინო პალატამ სამართლებრივი ძალის მქონე გადაწყვეტილება მოსამართლის გათავისუფლების შესახებ აღსასრულებლად უნდა გადაუგზავნონ იუსტიციის უმაღლეს საბჭოს. თუმცა, 80(2) მუხლის თანახმად, მან უნდა „განიხილოს“ კოლეგიის ან პალატის სამართლებრივი ძალის მქონე გადაწყვეტილება მოსამართლის გათავისუფლების შესახებ, საბჭოს ან პალატის „რეკომენდაციის საფუძველზე“. მე-80 მუხლის ფორმულირება ქმნის ეჭვს მოსამართლის გათავისუფლების შესახებ სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილებების იუსტიციის უმაღლესი საბჭოსათვის სავალდებულო ხასიათის შესახებ. ფორმულირებიდან ჩანს, რომ იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ სადისციპლინო კოლეგიის ან პალატის რეკომენდაციის საფუძველზე უნდა მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება მოსამართლის გათავისუფლების შესახებ. ხსენებული კი ეწინააღმდეგება კოლეგიის ან პალატის გადაწყვეტილებების მახასიათებლებს, განსაკუთრებით იმასთან დაკავშირებით, რომ 56(1) მუხლში ნათლადაა ჩამოყალიბებული დებულება, რომლის თანახმად „სადისციპლინო კოლეგიამ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება მოსამართლის გათავისუფლების შესახებ“. რეკომენდებულია მე-80 მუხლის ფორმულირების შეცვლა, რათა დაზუსტდეს

იუსტიციის უმაღლესი საბჭოსათვის მოსამართლის გათავისუფლების შესახებ სადისციპლინო კოლეგიის და პალატის გადაწყვეტილებების სავალდებულო ძალა.

VI. დასკვნა

70. მისასაღმებელია საქართველოს სახელისუფლებო ორგანოების მცდელობა, გააუმჯობესონ სამართლებრივი ჩარჩო და დაამკვიდრონ მართლმსაჯულების დამოუკიდებლობის უფრო მაღალი სტანდარტები. ცვლილებების კანონპროექტი ითვალისწინებს მდგომარეობის გაუმჯობესებას დისციპლინური სამართალწარმოების განხორციელების კონტექსტში, რათა უზრუნველყოფილი იყოს იმ მოსამართლის უფლებების დაცვის უფრო მაღალი ხარისხი, ვის მიმართაც მიმდინარეობს დისციპლინური სამართალწარმოება. შესაბამისად, გადადგმულია მნიშვნელოვანი ნაბიჯი გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიმართულებით.

71. ცვლილებების კანონპროექტის მიხედვით, იუსტიციის უმაღლესი საბჭო, როგორც იკვეთება, არის ერთადერთი ორგანო, რომელიც უფლებამოსილია, აღძრას დისციპლინური სამართალწარმოება მოსამართლეების მიმართ, რაც პოზიტიური ნაბიჯია მოსამართლეთა დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის თვალსაზრისით. აღნიშნულთან დაკავშირებით, მისასაღმებელია, სასამართლოს თავმჯდომარეების უფლებამოსილების შეზღუდვა დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების კუთხით. ამასთანავე, ის ფაქტი, რომ შემოთავაზებული სისტემა ითვალისწინებს მოვალეობების ცალსახად გამიჯვნას საგამომიებო ორგანოს (იუსტიციის უმაღლესი საბჭო) და დისციპლინური სახდელის დაკისრების შესახებ გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოს (სადისციპლინო პალატა) შორის, შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს.

72. თუმცა, ვენეციის კომისია და დირექტორატი მიიჩნევენ, რომ წარმოდგენილი მოსაზრებების განხილვის შედეგად, უნდა განხორციელდეს დამატებითი სამუშაო შემდეგი მიმართულებებით:

- იუსტიციის უმაღლესი საბჭოს კომპეტენცია – შესაბამისი მოსამართლისათვის კერძო სარეკომენდაციო ბარათის გაგზავნა, როგორც დისციპლინური ღონისძიების სახის გამოყენება, უნდა იქნეს ამოღებული, ხოლო, თუ შენარჩუნდება, შემოიფარგლოს მოსამართლისათვის „რეკომენდაციების სიის“ გაგზავნით;
- დისციპლინურ სამართალწარმოებაში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ნებისმიერი გადაწყვეტილებისათვის სრული შემადგენლობის 2/3-ის უმრავლესობის მოთხოვნა ძალიან მაღალია. დისციპლინური სისტემის უკეთესი ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად უნდა დაწესდეს უბრალო უმრავლესობის მოთხოვნა;

- ის დებულებები, რომლებიც ეხება დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების საფუძვლებს, აუცილებელია უფრო კონკრეტულად ჩამოყალიბდეს, ისევე, როგორც გაზრდილი საპროცესო გარანტიები, ECHR-სა და პრევედენტულ სამართალში ასახული სამართლიანი სასამართლოს პრინციპის შესაბამისად;
- სხდომების საჯაროობა უნდა იყოს ზოგადი წესი და არა გამონაკლისი;
- დისციპლინური პროცესის შეწყვეტის პირობები იმ შემთხვევაში, როცა სისხლისსამართლებრივი სამართალწარმოება დაიწყო დისციპლინური საქმის მასალების საფუძველზე, უნდა გადაიხედოს, რათა იუსტიციის უმაღლეს საბჭოს შეეძლოს ყოველი კონკრეტული საქმის მიხედვით გადაწყვეტილების მიღება.

73. ვენეციის კომისია და დირექტორატი რჩებიან საქართველოს სახელისუფლებო ორგანოების განკარგულებაში ამ და სხვა მიმართულებებით დამატებითი დახმარების საჭიროების შემთხვევაში.